

შპს „შარავანდი“

შპს „შარავანდი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თბილისი

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ

.....3-4

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

.....4-6

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

.....7

მოგება-ზარალის ანგარიშგება

.....8

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

.....9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

.....10

Contents

1. კომპანია და მისი საქმიანობა	9
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	9
3. მომზადების საფუძველი	9
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	16
6. ფული და ფულის ექვივალენტები	17
7. სავაჭრო მოთხოვნები	17
8. გაცემული ავანსები	17
9. გაცემული სესხები	Error! Bookmark not defined.
10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	Error! Bookmark not defined.
11. ძირითადი საშუალებები	Error! Bookmark not defined.
12. მიღებული სესხები	18
13. ამონაგები	Error! Bookmark not defined.
14. რეალიზაციის თვითღირებულება	19
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20
16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
17. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	21
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	22

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „შარავანდი“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და საწესდებო კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მოშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს მმართველობის ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე, რომელიც ხელმძღვანელობის აზრით, აუცილებელია იმგვარ

შპს „შარავანდი“

მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელშიც არ იქნება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი ცდომილება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- მმართველობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მოიცავს ინფორმაციას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება აუდიტით შემოწმებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 10 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თამაზ შარიქაძე



მაია ფილიევი



10 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შარავანდი“-ის დამფუძნებლებსა და დირექტორებს:

დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „შარავანდი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა პირობითი დასკვნის საფუძველში აღწერილი საკითხისა, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მივიღეთ სრულად მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო მოთხოვნებზე, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 12 665 100 ლარის ღირებულებით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით

დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მივიღეთ სრულად მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო ვალდებულებებზე, რომლიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 2 893 814 ლარის ღირებულებით . კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.
- ▶

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა

გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა- განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ- ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა- განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

შ.პ.ს. „ELIT AUDIT“ (245627978)

SARAS-F-479381

გარიგების პარტნიორი:

კახა ხელაძე

A handwritten signature in blue ink is written over a circular blue stamp. The stamp contains the text "ELIT AUDIT LTD" and the number "245627978". The signature is a stylized, cursive script.

2025 წლის 15 სექტემბერი

საქართველო

შპს „შარავანდი“

აქტივები	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	10,276,530	17,006,293
მარაგები	7	12,665,100	9,093,030
სულ მიმდინარე აქტივები	8	5,849,697	8,786,201
		28,791,326	34,885,524
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები			
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9	12,769,462	11,678,551
სულ გრძელვადიანი აქტივები		-	549
სულ აქტივები		12,769,462	11,679,100
ვალდებულებები		41,560,788	46,564,624
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2,893,814	2,353,590
საგადასახადო ვალდებულებები		71,725	-
მიღებული მოკლევადიანი სესხი	11	-	1,477,159
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,965,539	3,830,749
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული გრძელვადიანი სესხი	11	11,012,848	16,957,639
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,012,848	16,957,639
სულ ვალდებულებები		13,978,388	20,788,388
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		2,081	2,081
სულ საკუთარი კაპიტალი		27,580,319	25,774,155
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		27,582,400	25,776,236
		41,560,788	46,564,624

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 10 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თამაზ მარიჭაძე *თ. მარიჭაძე*

მაია ფილიევი *მაია ფილიევი*

10 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შპს „მარავანდი“

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	12	26,706,861	26,380,288
სხვა საოპერაციო შემოსავალი		36,552	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(17,369,079)	(18,072,897)
საერთო მოგება		9,374,334	8,307,391
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(6,452,494)	(5,909,826)
ფინანსური ხარჯი	11	(1,658,678)	(1,975,934)
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი		(88,174)	(496,649)
მარაგების გაუფასურება		-	(752,254)
ფინანსური შემოსავალი	11	1,739,545	1,532,491
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15	330,470	180,025
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	15	(37,481)	
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(1,401,357)	202,973
		-	
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე		1,806,164	1,088,217
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		1,806,164	1,088,217
სხვა სრული შემოსავალი		-	
სულ წლის სრული მოგება		1,806,164	1,088,217

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 10 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თამაზ შარიქაძე

თ. შარიქაძე

მაია ფილიევი

მაია ფილიევი

10 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შპს „შარავანდი“

	2,024	2,023
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	32,360,562	32,452,316
	(21,827,562)	(14,760,109)
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	)	)
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(2,429,671)	(2,030,105)
გადასახადების გადასახდელად გასული ფულადი სახსრები	(5,225,588)	(4,736,234)
სხვა საოპერაციო გასაცემები	(208,822)	(124,547)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,668,920	10,801,322
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	-	(1,154,952)
ფულადი სახსრების გასვლა სესხების გაცემიდან	(270,000)	-
მიღებული პროცენტი	1,482,530	1,304,556
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	1,212,530	149,604
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	-	179,000
სესხის ძირის გადახდა	(5,909,093)	(29,000)
სესხის პროცენტის გადახდა	(3,025,418)	(1,585,270)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(8,934,511)	(1,435,270)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(5,053,061)	9,515,656
სავალუტო კურსის ეფექტი	(1,676,702)	146,624
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	17,006,293	7,344,013
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	10,276,530	17,006,293

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 10 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თამაზ შარიქაძე

თ. შარიქაძე

მაია ფილიევი

მაია ფილიევი

10 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შპს „მარავანდი“

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,081	24,685,938	24,688,019
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-
საწესდებო კაპიტალი ცვლილება	-	-	-
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში	-	1,088,217	1,088,217
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,081	25,774,155	25,776,236
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-
საწესდებო კაპიტალი ცვლილება	-	-	-
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში	-	1,806,164	1,806,164
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,081	27,580,319	27,582,400

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 10 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თამაზ შარიქაძე

თ. შარიქაძე

მაია ფილიევი

მაია ფილიევი

10 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შპს „მარავანდი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მარავანდი“ (ს/ნ 208190125) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა საქართველოში 1999 წლის 1 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად..

კომპანიის იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა: საქართველო, ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, გზატკეცილი კახეთი ქ. N108.

კომპანიის ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა: საქართველო, ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი N108.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია თამაზ შარიქაძე.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - თამაზ შარიქაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რბილი შეფუთვის საკვები პროდუქციისა და ეტიკეტების წარმოება.

კომპანიას საშუალოდ 2024 წლის განმავლობაში დასაქმებული ყავდა 129 თანამშრომელი, ხოლო 122 თანამშრომელი ყავდა დასაქმებული 2023 წელს.

წარსადგენი ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მომზადების საფუძველი

შპს „მარავანდი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშგებო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაცებზე.

განაცხადი შესაბამისობაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები

მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის“ (ფასს-ები მსს- სთვის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონთან შესაბამისობაში.

ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, გამჟღავნებულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ლარი და იგი წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო ვალუტასა და იმ ვალუტას, რომელშიც კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგებაა წარმოდგენილი. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებაში მოცემული ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც საწარმო

შპს „მარავანდი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ოპერირებს (სამუშაო ვალუტა). კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული უცხოური სავალუტო ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება ოპერაციების განხორციელებისას გავრცელებული სავალუტო კურსების მიხედვით. უცხოურ ვალუტაში შემოსულობები და ზარალი, რომელიც მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსების გადაყვანის შედეგია, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების“ ნაწილში. ყველა სხვა უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა ან ზარალი წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო ხარჯების ან სხვა შემოსავლის“ ნაწილში.

მონეტარულ ერთეულებზე საკურსო სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში. ეს არ ენება საკურსო სხვაობას უცხოურ ვალუტაში ნასესხებ სახსრებთან მიმართებაში, რომლებიც სამომავლო წარმოებისათვის შექმნის პროცესში მყოფ აქტივებთანაა დაკავშირებული და ამ აქტივების ღირებულებაში შევიდა, როდესაც ისინი ჩაითვალა ამ უცხოურ ვალუტაში ნასესხებ სახსრებზე საპროცენტო ხარჯის კორექტირებად.

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753
ლარი/100 რუსული რუბლი	2.5405	2.9916

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანიას არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები აღირიცხება ოპერაციის თვითღირებულებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ. აქტივების ყიდვაზე გადახდილი

შპს „შარავანდი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურეობის მიღების შემდეგ. ისეთ მომენტში, როდესაც მოსალოდნელია, რომ გაცემულ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გაცემული ავანსის საბალანსო ღირებულება უკან დაბრუნება წარმოადგენს იურიდიული დავის ან კონტრაგენტებს შორის მოლაპარაკების საგანს. როცა არსებობს შესაბამისი საფუძველი იმისა რომ საქონლისა და მომსახურეობის მიღება ვერ ხერხდება და ამავე დროს ვერც თანხის უკან დაბრუნებაა შესაძლებელი, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი ზარალი.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნაღებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის გასაყიდ ფასამდე, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით, გაუფასურების ზარალი მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, თავდაპირველი ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან დაგროვილი გაუფასურების ანარიცხებით.

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს) ფასს-ებზე გადასვლის თარიღით ანუ 2018 წლის 1 იანვარს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განსაზღვრული იყო ამ თარიღით მის რეალურ ღირებულებასთან მიმართებაში („დასაშვები საწყისი ღირებულება“).

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და შესაძლებელია დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწვევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

შპს „მარავანდი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა დაირიცხება ისე, რომ აქტივების ღირებულება, შემცირებული მათი ცვეთით, რომელიც წარმოადგენს ნარჩენი ღირებულებას, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში გადანაწილდეს, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალებების კატეგორია

	ცვეთის განაკვეთი
შენობა	2%
მანქანა დანადგარები	5%
სატრანსპორტო საშუალებები	5%
ოფისის აღჭურვილობა და სხვა	7%

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად თანხამდე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა.

გასვლებიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება „სხვა შემოსავალში“ და „სხვა დანახარჯებში“ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. როდესაც ფინანსური აქტივი თავდაპირველად აღიარდება, კომპანიამ იგი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით) თუ შეთანხმება თავისი შინაარსით არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას კომპანიისთვის. შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, როდესაც გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისაგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა საქონლისა და მომსახურების მყიდველისათვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც საბაზრო არ არის. თუ შეთანხმება ფინანსური ოპერაციაა, კომპანია აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისათვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ვალდებულებები და ზარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა საგადასახადო ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული საგადასახადო გადახდის ვალდებულებას. თუ საგადასახადო მავალდებულებელი მოვლენის

მკს „შარავანდი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასაწარი გადახდის სახით.

ნასესხები სახსრები. მიღებული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულების მოდელით. ფიქსირებული და ცვალებადი საპროცენტო განაკვეთიანი ნასესხები სახსრების აღრიცხვისას კომპანიის შემოსავალი გამოითვლება შესაბამისი პერიოდის საპროცენტო განაკვეთის გამრავლებით იმავე პერიოდში გადასახდელ დარჩენილ ძირ თანხაზე.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. 01-იან-17-მდე, საგადასახადო კრედიტი შედგებოდა მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან და აღიარებული იყო წლის მოგებაში ან ზარალში, თუ ის არ იყო აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის ეხებოდა იმ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარებული იყო, იგივე ან სხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან იქნება მისაღები, მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0,85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის დანახარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რა პერიოდში ან რა თარიღით ჰქონდა ფაქტობრივ

შპს „მარავანდი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

გადახდას ადგილი. პირობითი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ გადასახადებში და არა საოპერაციო დანახარჯებში.

